



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი

21 ოქტომბერი 2014 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №51

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების საწვავით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამკვიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 20 აგვისტოს ბრძანება N27 -ში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამკვიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს № 3 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების საწვავით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამკვიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 20 აგვისტოს N27 - ე ბრძანებას დაემატოს „უ“ ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსით: ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“-ს თავმჯდომარეს 70 (სამოცდაათი) ლიტრი; ასევე ცვლილება შევიდეს „2.“ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით: სარეზერვო ფონდი რომელიც ხმარდება გაუთვალისწინებელ ღონისძიებას შემცირდეს და განისაზღვროს 80 (ოთხმოცი) ლიტრით;
2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი.სიორიძის ქუჩ N 14, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 15 ოქტომბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია